



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური

ანგარიშის აუდიტის შედეგების შესახებ



9 აგვისტო, 2018 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგენს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტი წავრმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა პირობითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

სარჩევი

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
1.1 სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები	4
1.2 აქტივების ხარჯებში ჩამოწერის ხარვეზები	5
1.3 აქტივების არასწორი კლასიფიცირება	5
1.4 ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის დარიცხვის პრობლემები	6
1.5 მატერიალური ფასეულობების ნაშთები	6
1.6 არარსებული ან ღირებულების გარეშე აღრიცხული აქტივები	7
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	8
2.1 სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.....	8
2.2 შრომის ანაზღაურების დარიცხვასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის მექანიზმების ხარვეზები.....	9
2.3 დებიტორების მიერ უკან მობრუნებული თანხები	10
2.4 საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების ზოგადი პრობლემები.....	10
3. რეაგირება წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე	11

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

გამოვლენილი გარემოებები:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დებიტორული დავალიანება შეადგენდა 17,328.8 ათას ლარს, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაზრდილია 18,415.9 ათას ლარამდე. შსს-ს ცენტრალური აპარატის აქტივები მოიცავს დიდი რაოდენობის დებიტორულ დავალიანებებს, რომელთა წარმოშობისა და სიზუსტის დადასტურება აუდიტის მიერ ვერ მოხდა. წლების განმავლობაში სამინისტროს მიერ არ ჩატარებულა მოთხოვნა-ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაცია.

-)/ 2,832.7 ათასი ლარი, 2007-2009 წლებში, საგარანტიო დოკუმენტაციის გარეშე ავანსად გადარიცხული არარეზიდენტი იურიდიული პირების ანგარიშებზე, რაც ძირითადად საიდუმლო შესყიდვებს უკავშირდება. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნულ კომპანიებს შესრულებული აქვთ ვალდებულებები, თუმცა შესაბამისი დოკუმენტები ეკონომიკურ დეპარტამენტში არ მოიპოვება.
-)/ ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2017 წელს აისახა ჯერ კიდევ 2007 წელს ლიკვიდირებული სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველის ბალანსზე რიცხული, 10 წელიწადზე მეტი ხანდაზმულობის 1,891.9 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება.
-)/ N1356 საბალანსო ანგარიშზე 2003-2004 წლებიდან ირიცხება 182.4 ათასი ლარის დანაკლისი, რომლის წარმოშობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები სამინისტროში არ არსებობს.
-)/ ბალანსზე აქტივებად ირიცხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განადგურებული და დაკარგული ქონების საბალანსო ღირებულება 4,982.2 ათასი ლარის ოდენობით, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში იწვევს აქტივების ნაშთის ზედმეტად წარმოდგენას.
-)/ N1451 საბალანსო ანგარიშზე (მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ ავანსად გაცემული თანხებით) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხება 212.8 ათასი ლარით ნაკლები თანხა, ვიდრე ანალიზური აღრიცხვის მონაცემებით უნდა ერიცხებოდეთ ანგარიშვალდებულ პირებს. აღნიშნული თანხით შემცირებულია ბალანსზე რიცხული აქტივები.
-)/ ბალანსზე ირიცხება 13,764.5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 7,889.0 ათასი ლარი 2005 წლამდე თანამშრომლებზე გაუცემელ ხელფასებს წარმოადგენს.
-)/ ზოგ შემთხვევაში სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები არ ემთხვევა კრედიტორი ორგანიზაციების სააღრიცხვო მონაცემებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების უტყუარობა და სიზუსტე ვერ დასტურდება.

რეკომენდაცია N1

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ დროულად ჩაატაროს სამინისტროს ბალანსზე რიცხული (მათ შორის სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველის ბალანსიდან გადმოტანილი) მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის,

ამოღების ალბათობის შესწავლის პროცესი და მიიღოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილებები.

რეკომენდაცია N2

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, ეკონომიკურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების სიზუსტე, საიმედოობა და ურთიერთშესაბამისობა.

1.2 აქტივების ხარჯებში ჩამოწერის ხარვეზები

გამოვლენილი გარემოებები:

- სამინისტროს ობიექტებზე სხვადასხვა სახის დაზიანებების ოპერატიულად აღმოსაფხვრელად, ლოჯისტიკის დეპარტამენტის თანამშრომელს გარკვეული დასახელების და ოდენობის მარაგნაწილები, ნედლეული და მასალები გამოაქვს ცენტრალური საწყობიდან და ინახავს სპეციალურად გამოყოფილ სათავსოში. აღნიშნული ქონება, მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე პირდაპირ ჩამოიწერება ხარჯებში და აღირიცხება საცნობარო მუხლში. მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად, საცნობარო მუხლში უნდა აღირიცხოს ექსპლუატაციაში გადაცემული და არა რაიმე სახის სათავსოში დასაწყობებული მატერიალური მარაგები.

შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 242.5 ათასი ლარის ღირებულების ქონება ნაადრევად არის ჩამოწერილი ხარჯებში, რითაც შემცირებულია სამინისტროს აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება.

- საზღვარგარეთ მივლინებული პოლიციის ატაშეები, ოფისის მოსაწყობად, ხშირ შემთხვევაში ახორციელებენ ისეთი საოფისე ინვენტარის (ტელევიზორი, ლეპტოპი და ა. შ.) შეძენას, რომელთა ღირებულება აღემატება 500 ლარს და აკმაყოფილებს აქტივად აღიარებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, ისინი არ აღირიცხებიან ძირითად აქტივებად და ხორციელდება მათი პირდაპირ ხარჯში ჩამოწერა, საცნობარო მუხლში ასახვით.

სულ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ატაშეებს საცნობარო მუხლით ერიცხებოდათ 42.9 ათასი ლარის პირდაპირ ხარჯებში ჩამოწერილი ძირითადი აქტივები, რითაც შემცირებულია სამინისტროს აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულება.

1.3 აქტივების არასწორი კლასიფიცირება

გამოვლენილი გარემოება:

სამინისტროში აქტივების არასწორი კლასიფიკაციის გამო, 500 ლარზე მეტი ღირებულების ისეთი კარგები, რომლებიც გამოიყენება ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში, ირიცხება საბუღალტრო ანგარიშზე N2240, როგორც გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები. შედეგად, 19.1 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები ხარჯებშია ჩამოწერილი, ხოლო 158.5 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები აღრიცხულია, როგორც გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და შესაბამისად მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება.

რეკომენდაცია N3

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების ჯამური საბალანსო ღირებულების უტყუარად წარდგენის მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს ძირითადი აქტივების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად კლასიფიცირება, აღრიცხვა და არ დაუშვას მათი ნაადრევად ჩამოწერა.

1.4 ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის დარიცხვის პრობლემები

გამოვლენილი გარემოებები:

-)/ იაპონიის მთავრობის მიერ გრანტის ფარგლებში გადმოცემულ, 51 ერთეულ ელექტრომობილს, ღირებულებით - 5,342.3 ათასი ლარი, ცვეთა დაერიცხა 14%-ის ოდენობით. ინსტრუქციის მიხედვით აღნიშნული წარმოადგენს ელექტრომრავლების ცვეთის ნორმას, ხოლო ელექტრომობილების ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის.
-)/ სამინისტროს ერიცხება დიდი ოდენობით იარაღი, რომელთა ნაწილი აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარებისათვის მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა დამკვიდრებული პრაქტიკით მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით იარაღის ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის, თუმცა არც ის არის განსაზღვრული რომ იარაღს ცვეთა არ ერიცხება.
-)/ არამატერიალურ ძირითად აქტივებზე ცვეთის შეცდომით დარიცხვის გამო ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა შემცირებულია 402.9 ათას ლარით.

რეკომენდაცია N4

მოქმედი საკანონმდებლო აქტების და სტანდარტების მოთხოვნათა შესრულებისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშავოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს მის ბალანსზე რიცხული ისეთი ქონების (იარაღი, ელექტრომობილები და სხვა.) ცვეთის ნორმების პროექტი, რომელთა მიმართ შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია ცვეთის ერთგვაროვანი ნორმების გამოყენება.

1.5 მატერიალური ფასეულობების ნაშთები

გამოვლენილი გარემოებები:

-)/ მოქმედი ინსტრუქციით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია 2017 წელს მაინც უნდა ჩატარებულიყო, თუმცა არ ჩატარებულა. (წინა ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2014 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით).
-)/ სამინისტროს კუთვნილი მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია დროულად (ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში) ვერ სრულდება. აღნიშნულის გამო, ინვენტარიზაციის შედეგების ბუღალტრული ასახვა შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ან საერთოდ ვერ ესწრება, ან არასრულყოფილად ხორციელდება. სამინისტროში ჩატარებული 2017 წლის ინვენტარიზაციების

მასალები ისე გაიგზავნა საბუღალტრო სამსახურში, რომ ზოგიერთ მათგანს არ ახლავს სპეციალური ოქმი და შესაბამისად ვერც ხდება მათი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დარღვევაა. შედეგად, ვერ დასტურდება რიცხული მატერიალური ფასეულობების ნაშთების არსებობა.

-)/ სამინისტროში ინვენტარიზაციების შედეგებზე რეაგირების შესახებ შიდა ნორმატიული აქტი დამტკიცებული არ არის, თუმცა დამკვიდრებული პრაქტიკით, ინფორმაცია ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის/ზედმეტობის შესახებ მოსაკვლევად ეგზავნება გენერალურ ინსპექციას, რომელიც განსაზღვრავს მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ბრალეულობის საკითხს. ხოლო, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება ექსპერტის მიერ. აღნიშნული პროცესი რამდენიმე თვე გრძელდება და ამ პერიოდში საბუღალტრო სამსახურს არ აქვს შესაძლებლობა ინვენტარიზაციის შედეგები სრულყოფილად ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ასევე, ხანგრძლივდება ინვენტარიზაციების შედეგად გამოვლენილი ზედმეტობის შემოსავალში აღების პროცესი, რაც შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შედეგებზე უარყოფითად აისახება.

-)/ სამინისტროში ზოგ შემთხვევაში არასაკმარისი რეაგირება ხორციელდება ინვენტარიზაციის შედეგებზე. დანაკლისის სახით უმეტეს შემთხვევაში ფიქსირდება სრულად ამორტიზირებული ქონება, რომლის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ექსპერტის მიერ უნდა განისაზღვროს და შესაბამის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს დაეკისროს მისი ანაზღაურება, რაც უმეტეს შემთხვევაში არ ხორციელდება. შედეგად, სამინისტროს ბალანსზე, წლების მანძილზე დაგროვდა საცნობრო მუხლში დანაკლისების კოდზე აღრიცხული დიდი ოდენობით შეუფასებელი ქონება, რომლებზეც არ არის დაკონკრეტებული პასუხისმგებელი პირების ვინაობა და არც შესაბამის ანგარიშზეა (N1440) ასახული.

რეკომენდაცია N5

სამინისტროს ბალანსზე რიცხული აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს ხელმძღვანელობამ:

-)/ ინვენტარიზაციების შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით, შეიმუშავოს და დაამტკიცოს შიდა ნორმატიული აქტი და გააკონტროლოს მისი შესრულების მდგომარეობა.
-)/ გააძლიეროს კონტროლი ინვენტარიზაციების სარეკომენდაციო ვადების დაცვის, მათი დროულად და ხარისხიანად ჩატარებისა და შედეგების ეფექტიანად რეალიზაციის თვალსაზრისით.

1.6 არარსებული ან ღირებულების გარეშე აღრიცხული აქტივები

გამოვლენილი გარემოებები:

-)/ სამინისტროს ბალანსზე (ანგარიში 2121) სხვა ქონებასთან ერთად 2005 წლიდან უცვლელად ირიცხება 14 ცალი სხვადასხვა მოდიფიკაციის ძრავა, ჯამური ღირებულებით 11.0 ათასი ლარი. ზემოხსენებული ძრავების შესახებ სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობს, მაგრამ ბუღალტრულად ისინი კვლავ ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება.

- ქ) 2007 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით ლიკვიდირებული სსიპ სპეციალიზებული სამთო მაშველის სალიკვიდაციო ბალანსში ფიგურირებს 8 დასახელების 5.2 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომლებიც 2017 წელს ისე აისახა ცენტრალური აპარატის ბალანსზე, რომ მიღება-ჩაბარება არ განხორციელებულა. აქედან, 5 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, საბალანსო ღირებულებით 4.8 ათასი ლარი, წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციით დაფიქსირდა დანაკლისად და აღირიცხა, როგორც მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით, ისე რომ არ არის დადგენილ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული მოთხოვნა არ შეიძლება დაკლასიფიცირდეს როგორც აქტივი.
- ქ) სამინისტროს კუთვნილი აქტივების ნაწილი, განსაკუთრებით იარაღი და სხვა სპეცდანიშნულების ქონება, სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ რაოდენობრივად არის აღრიცხული, ანუ წარმოდგენილია ღირებულების გარეშე. ამიტომ, სამინისტროს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში არც მათი ღირებულება აისახება. შედეგად, სამინისტროს კუთვნილი აქტივების ჯამური ღირებულება შემცირებულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია N6

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების სრულყოფილად ასახვის მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა (მათ შორის საკუთარი რესურსი), რათა შეიმუშავოს რაოდენობრივად აღრიცხული ქონების შეფასების კრიტერიუმები და განახორციელოს მათი ბალანსზე ასახვა, ხოლო არარსებული ქონება ჩამოწეროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა

გამოვლენილი გარემოება:

მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნათა მიუხედავად, სამინისტროს არ აქვს განსაზღვრული და დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც ზრდის ფინანსური ანგარიშგების არასწორად მომზადებისა და წარდგენის რისკებს.

რეკომენდაცია N7

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების შესასრულებლად, სამინისტროს ხელმძღვანელობამ განსაზღვროს და დაამტკიცოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი და საიმედო ინფორმაციის მიწოდებას და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენას.

2.2 შრომის ანაზღაურების დარიცხვასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის მექანიზმების ხარვეზები გამოვლენილი გარემოებები:

სამინისტროში შრომის ანაზღაურების დარიცხვა წარმოებს ავტომატურად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, რომელშიც თავდაპირველი მონაცემები მექანიკურად (ხელით) შეაქვს საბუღალტრო სამსახურის თანამშრომელს, რაც წარმოადგენს შრომის ანაზღაურების დარიცხვის საფუძველს, ისე რომ პროგრამაში ინფორმაციის შეტანის სისწორის გადამოწმება ოფიციალურად არ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესში არსებობს მექანიკური შეცდომის რისკი, რომელსაც ვერ ფარავს შიდა კონტროლის არსებული მექანიზმები.

ამასთან, არ არსებობს სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ოფიციალური ფორმა, არ არის შექმნილი შიდა კონტროლის დამატებითი მექანიზმები. სამინისტროს იმ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, რომლებიც ფინანსდებიან ცენტრალური აპარატის მიერ, მონაწილეობას არ იღებენ მათი თანამშრომლებისათვის ხელფასის დარიცხვის პროცესში, რაც მინიმუმამდე შეამცირებდა იმის რისკს, რომ უკვე განთავისუფლებულ თანამშრომელს, ან სხვა პირს დაერიცხოს ხელფასი.

სამინისტროში ზოგჯერ თანამშრომლის განთავისუფლება ხდება გასული თარიღით, ან შესაბამისი ბრძანება ეკონომიკურ დეპარტამენტს ეგზავნება დაგვიანებით, მაშინ როდესაც აღნიშნულ თანამშრომელზე შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემა უკვე განხორციელებულია. შედეგად წარმოიშობა ზედმეტად გაცემული თანხები, რაც სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.

რეკომენდაცია N8

თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემის პროცესში არსებული რისკების გასაწესრიგებლად, სამინისტროს ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს და დანერგოს სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ფორმა ან დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს პროგრამაში არასწორი მონაცემების შეტანის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N9

სამინისტროს ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები თანამშრომელთა გასული თარიღით განთავისუფლების შემთხვევებისა და შესაბამისი ბრძანებების ეკონომიკურ დეპარტამენტში დაგვიანებით მიწოდების ფაქტების მინიმუმამდე დასაყვანად.

2.3 დებიტორების მიერ უკან დაბრუნებული თანხები

გამოვლენილი გარემოება:

კონტრაქტორი კომპანიებისთვის ავანსად გადარიცხული თანხები, რომელიც აღრიცხულია როგორც მოთხოვნები (ანგარიშის ნომერი 1430) შესაბამისი კომპანიების მიმართ, უკან დაბრუნებისას ტარდება არასწორად, კერძოდ, ამავე ანგარიშის დებეტში, ოღონდ მინუსი ნიშნით. რაც ეწინააღმდეგება ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედ ნორმებს, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე წელს გადახდილი თანხების მობრუნება აისახება დაფინანსების (4000) შესაბამისი ანგარიშების დებეტში 1250 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით.

ამ მოთხოვნების დარღვევით, 2017 წელს კომპანიების მიერ ავანსად გადახდილი თანხებიდან უკან დაბრუნებული 162.63 ათასი ლარია აღრიცხულია N1430 („მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“) ანგარიშზე უარყოფითი ნიშნით.

ანალოგიური მდგომარეობაა შრომის ანაზღაურების, მივლინებების და სხვა სახის ავანსად გადარიცხული და უკან დაბრუნებული თანხების აღრიცხვის თვალსაზრისითაც.

რეკომენდაცია N10

ეკონომიკურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს მიმდინარე წელს გადახდილი თანხების დაბრუნების ასახვა დაფინანსების (4000) შესაბამისი ანგარიშებზე და არ დაუშვას მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნათა შეუსაბამო პრაქტიკის დამკვიდრება შემდგომ საქმიანობაში.

2.4 საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების ზოგადი პრობლემები

გამოვლენილი გარემოებები:

სამინისტროში, განსაკუთრებით ზოგიერთი საბალანსო ერთეულის მხრიდან არასათანადო ყურადღება ექცევა საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების საკითხს. შედეგად, ხშირია სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრულად დიდი დავიანებით ასახვის ფაქტები, რაც სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის, ამ კუთხით არსებულ არასაკმარის კომუნიკაციაზე მიუთითებს. მაგალითად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რუსეთ-საქართველოს ომის დროს განადგურებული და დაკარგული ქონების სახით რიცხული 95.9 ათასი ლარის ღირებულების იარაღი წლების წინ იყო აღმოჩენილი ერთ-ერთ დანაყოფში, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ შესაბამისი წერილობითი შეკითხვის შემდეგ აცნობა ეკონომიკურ დეპარტამენტს. მიუხედავად ასეთი ფაქტისა, არ გააქტიურდა საქმიანობა განადგურებულად და დაკარგულად აღრიცხული ქონების შესახებ არსებული მონაცემების დაზუსტების და შესაფერისი გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში ანგარიშგების ზოგიერთი მუხლის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციაა წარმოდგენილი, ზოგიერთი მუხლი კი საერთოდ არ არის ნახსენები. მაგალითად, N1461 (მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით) და N1462 (მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ) საბალანსო ანგარიშების შესახებ განმარტებით შენიშვნებში არანაირი ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, მაშინ როდესაც, N1462 ანგარიშზე ნაშთი წლის დასაწყისთან შედარებით გაზრდილია 283%-ით.

რეკომენდაცია N11

როგორც ინდივიდუალური, ისე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, **სამინისტროს ხელმძღვანელობამ:**

- 1) გაამკაცროს მოთხოვნები საბალანსო ერთეულებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხის მოწესრიგების, მათ მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციის დროულად და შინაარსობრივად სწორად ასახვის, სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის, დროული კომუნიკაციის განხორციელების თვალსაზრისით.
- 2) გააქტიუროს საქმიანობა რუსეთ-საქართველოს ომის დროს განადგურებულად და დაკარგულად აღრიცხული ქონების შესახებ არსებული მონაცემების დაზუსტების და შესაფერისი გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.
- 3) შესაბამისმა სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენოს დეტალური ინფორმაცია ანგარიშგებებში წარმოდგენილი მუხლების, ორგანიზაციის მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების, ასევე აქტივების მართვის ხარისხის და რესურსების გამოყენების შესახებ.

3. რეაგირება წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე

რეკომენდაცია N1

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, მინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ გააქტიუროს სამინისტროს ბალანსზე რიცხული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლისა და ჩამოწერის პროცესი მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. სამინისტროს ბალანსზე რიცხული აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს ხელმძღვანელობამ გაამდიდროს კონტროლი ინვენტარიზაციების ხარისხიანად ჩატარებისა და მათი შედეგების დროულად და ეფექტიანად რეალიზაციის თვალსაზრისით.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

სამინისტროს ბალანსზე რიცხული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლის და ჩამოსაწერი დავალიანებების დადგენის მიზნით, მინისტრის ბრძანებით¹ ჯერ კიდევ 2014 წელს შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობაში 2017 წლის მანძილზე ორჯერ იქნა შეტანილი ცვლილება², თუმცა კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული არ არის. არ განხორციელებულა მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

¹2014 წლის 22 ივლისის N531 ბრძანება. 2016 წლის 12 ოქტომბრის N575 ბრძანებით გარკვეული ცვლილებები შევიდა კომისიის შემადგენლობაში

²2017 წლის 15 თებერვლის N76 და 29 დეკემბრის N00633 ბრძანებები.

რეკომენდაცია N2

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომ სტრუქტურულ ერთეულებს ჰქონდეთ მუდმივი და გამართული კომუნიკაცია, რათა საბუღალტრო სამსახურს დროულად და სრულად მიეწოდოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

სამინისტროში აღნიშნული საკითხი კვლავ პრობლემურია, რომლის მაგალითებიც დაფიქსირებულია სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2017 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშშიც.

რეკომენდაცია N3

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების სრულყოფილად ასახვის მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა (მათ შორის საკუთარი რესურსი), რათა განხორციელოს რაოდენობრივად აღრიცხული ქონების შეფასება და ბალანსზე ასახვა, ხოლო არარსებული ქონების ჩამოწერა შესაბამისი პროცედურებით.

შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული

სამინისტროს ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც ირიცხებოდა ისეთი მიწის ნაკვეთები, რომელთა შეფასება არ იყო განხორციელებული. აუდიტის მიმდინარეობისას, 2018 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა აღნიშნული ქონების შეფასება და შესაბამისი გატარება, რითაც ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხული აქტივების ღირებულება ჯამში 43,058.9 ათასი ლარით გაიზარდა.

სამინისტროს ბალანსზე რიცხული იარაღისა და სპეცდანიშნულების ქონების შეფასების საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

რეკომენდაცია N4

შრომის ანაზღაურების სისტემისა და საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით:

- 1) სპეციალური დანამატების დანიშვნა განხორციელოს მხოლოდ საფინანსო წლის განმავლობაში მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის, ამასთან დანამატის გაცემის საფუძვლები დეტალურად იქნას დასაბუთებული.
- 2) შტატგარეშე თანამშრომელთა ოდენობა განისაზღვროს არგუმენტირებულად, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

შესრულების მდგომარეობა: შეუსრულებელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE